

საქართველოს მთავარ პროკურატურას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2007-2014 წლებში (ცალ-ცალკე წლების მიხედვით) შემოსული მოქალაქეთა განცხადებების/საჩივრების რაოდენობა; (2012 წლის შესახებ ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ 1 ოქტომბრამდე და 1 ოქტომბრის შემდეგ ცალ-ცალკე).
2. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსული იმ განცხადებების რაოდენობა, რომელიც უკავშირდება წარსულში სახელმწიფო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან ჩადენილი დანაშაულის გამოძიებას.
3. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსული იმ განცხადებების რაოდენობა, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ითხოვენ ქონების დაბრუნებას ან ზარალის კონპენსაციას. (ინფორმაციის არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ აგრეთვე მოთხოვნილი ქონების და კომპენსაციების საერთო ღირებულება).
4. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ შემოსულ რამდენ განცხადებაზე, რომლის მიხედვითაც მოქალაქეები ითხოვენ ქონების დაბრუნებას ან ზარალის კონპენსაციას, დაიწყო გამოძიება, რამდენ მათგანზე დადგა განაჩენი და მათ შორის რამდენს დაუკმაყოფილდა ქონების დაბრუნების/კომპენსაციის მოთხოვნა.
5. იმ თანამშრომელთა რაოდენობა, რომლებიც 2012 წლის 1 ოქტომბრამდე დასაქმებული იყვნენ საქართველოს პროკურატურაში და დღესაც აგრძელებენ აღნიშნულ უწყებაში მუშაობას.
6. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ საქართველოს პროკურატურაში დასაქმებული იმ თანამშრომლების რაოდენობა, რომლებიც დღესაც აგრძელებენ აღნიშნულ უწყებაში მუშაობას. გთხოვთ, მიგვითითოთ მათ შორის რამდენ თანამშრომელს ეკავა პროკურორის პოზიცია.
7. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდგომ დაფიქსირებული შემთხვევების რაოდენობა, როდესაც განცხადების განხილვა ხდება იმ პროკურორის მიერ, რომლის მიმართ საგამოძიებო მოქმედებების დაწყებას ითხოვს განმცხადებელი. გთხოვთ, მიგვითითოთ მათ შორის რამდენ თანამშრომელს ეკავა პროკურორის პოზიცია.

გთხოვთ, მიგვითითოთ რამდენ შემთხვევაში დაფიქსირდა მეუღლეთა შორის ოჯახური ძალადობის ფაქტი დაზარალებულის/მსხვერპლისა და მსჯავრდებულის/ზრალდებულის სქესის მითითებით.

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,
ლევან ავალიშვილი

გამგეობის თავჯდომარე